

ავტომობილი, სიკვდილი, ბიზნესი

გასული წლის მანძილზე დასავლეთის მრავალმა გაზეთმა და ჟურნალმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც იტალიელი ავტომობილისტის ლორენცო ბანდინის დაღუპვის მომენტი იყო აღბეჭდილი. გამარჯვების ერთ-ერთი უმჯობესი პრეტენდენტი დაიღუპა მონტე-კარლოსკენ მიმავალ გზაზე, როცა იქ გაჩაღებული იყო საავტომობილო რბოლა მონაკოს დიდ პრიზზე. პრესა დაღუპვის მიზეზად მიიჩნევა სატელევიზიო პროექტორებსა და მცხუნვარე მზეს, რომლებიც თითქოს ხელს უშლიდნენ სპორტსმენს მანქანის მართვაში. არაფერი იყო ნათქვამი იტალიურ ფირმა „ფერარისე“, რომლის მანქანითაც გამოდიოდა ბანდინი.

ამ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ იტალიელის გვარი არ დაივიწყა სენსაციის მოყვარულმა დასავლეთ ევროპის პრესამ. ლორენცო აღიარებს... „წლის საუკეთესო ავტომობილისტად“. ეს ტიტული პირველად მიანიჭეს გარდაცვლილ სპორტსმენს. ვის სჭირებოდა ამგვარი სპექტაკლი?

შარშანდელი წელიწადი ყველაზე „შავი წელიწადი“ იყო საავტომობილო რბოლის ისტორიაში. 50 სპორტსმენი — ცნობილი თუ ახალბედა — დაიღუპა „სიკვდილის გზებზე“. ამ სპორტის მოყვარულებსაც არ დააღვინა კარგი დღე. 70 კაცი — აი, ეს არასასიამოვნო ციფრი. თუ გავიხსენებთ, რომ 1956-1966 წლებში შეჯიბრებების დროს დაიღუპა დაახლოებით 300 სპორტსმენი და 600-მდე მაყურებელი, მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ იყო 1967 წელი უდიდესი ამ სპორტის თავყვანისმცემლებისთვის.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს „ტრადიცია“ წლებულსაც გრძელდება. 1968 წლის პირველ იანვარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში გაიმართა მსოფლიო პირველობის პირველი ეტაპი სამხრეთ აფრიკის დიდ პრიზზე. ცნობილი იტალიელი (!) ავტომობილისტი ლუდვიგო სკარფიოტი მესამე წრის შემოვლას იწყებდა. უცებ მის მანქანას ცეცხლი მოეკიდა და რამდენიმე წამის შემდეგ აფეთქდა. სახიკვდილოდ განწირული სპორტსმენი შემთხვევით ახლოს მყოფმა მესამე რბოლა გადარჩინა.

ეს წელი განსაკუთრებით მდიდარია საავტომობილო შეჯიბრებებით. გამარჯვება რომ მოიპოვონ, სპორტსმენები არაერთხელ საშუალებას არ ურიდებინან, ხოლო ფირმები ცდილობენ რაც შეიძლება დიდი რეკლამა გაუკეთონ თავიანთ პროდუქციას. მათთვის ხომ მთავარია ბიზნესი — ფული.

ვინ „გახსნის“ წლებანდელ „შავ სიას“? ვინ იქნება ის, იტალიელი თუ გერმანელი, ან კიდევ სხვა?

ზ. ღვალნი.

სურათზე: ზემოთ — საბედისწერო მომენტი. ქუთაისში — დ. ბანდინი, ქვემოთ — „რბოლის“ დასასრული.




ფული — ფეხბურთი — ფული

ვინ არის ეს კაცი, რომლის სურათსაც მსხვილი პლანიო ბეჭდვს დასავლეთ ევროპის მრავალი ჟურნალი „შტერნი“? ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილს ასეთი სათაური აქვს: „მერკელი ამას მონეტებით აკეთებს“.

ლაპარაკია ცნობილ დასავლეთ ევროპელ მწვრთნელზე მაქს მერკელზე, თუმცა, მოდიოთ, სიტყვა თითო „შტერნი“ დაფუთვით.



„ილენიო ერერამ — მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულმა მწვრთნელმა ერთხელ თქვა: არავის გაუკვირდეს, თუ ექიმები სიკვდილის შემდეგ ჩემი თავის ქალიდან გაბერილ ბურთს ამოიღებენო. თუ მაქს მერკელის სიკვდილის შემდეგ ჩემი თავის ქალიდან გაბერილ ბურთს ამოიღებენო. თუ მაქს მერკელის სიკვდილის შემდეგ ჩემი თავის ქალიდან გაბერილ ბურთს ამოიღებენო. თუ მაქს მერკელის სიკვდილის შემდეგ ჩემი თავის ქალიდან გაბერილ ბურთს ამოიღებენო...“

„ფული — ფული, მერკელი — ფული და მესამე — ფული“.



მეიერსი: ხელით მოვკლავ ხარს

ქილაობის მწვრთნელს, პოლანდიელ მეიერსს განზრახული აქვს ესპანეთში ჩავიდეს და ტორეადორის ტრადიციული იარაღის გარეშე შეებრძოლოს ხარს, როგორც პოლანდიელი ამბობს, იგი პირველ ყოვლისა, ფეხს მოსტებს ხარს, რომ არ გაიქცეს, და მერე კი ხელის დარტყმით მოკლავს მას. ცხოველების დაცვის საზოგადოებამ ამის თაობაზე პროტესტი გამოთქვა. საკითხავია, რით ხელმძღვანელობდა იგი. სულერთი არ არის, რა იარაღით დაიღუპება ხარი?



ესაც თუ სპორტია!

განაფხულზე, როგორც კი ოდნავ დათბება, იტონის სტუდენტები მართავენ „თავიანთ მატჩს“. იგი არც ერთ სხვა შეხვედრას არა ჰგავს და მსოფლიოში ამ ინგლისური სასწავლებლის სტუდენტების გარდა არც არავინ მართავს. ერთის შემდეგით ყველაფერი ფეხბურთის მოგაგონებთ: არის მინდორი, ორი კარი, ბურთი, მაგრამ ეს თამაში მხოლოდ უკანასკნელი რეკვიზიტით ემსგავსება ფეხბურთს.

მოგდანი მიწის ვიწრო, ტალახიანი მონაკვეთია, რომელიც სასწავლებლის გალაგანს აკრავს. კარი ჩვეულებრივი სახითაა აღმშენილი. მატჩი 1 საათს გრძელდება. თვითველ გუნდში 5-5 კაცია.

თამაშის წესდებაში ნათქვამია, რომ „ბურთი უნდა გავიღოს მოწინააღმდეგის კარში“. ამ პუნქტამდე ყველაფერი ისეა, როგორც ფეხბურთის წესებით, მაგრამ თამაშის დროს, როგორც კი ბურთი რომელიმე კარის ასლოს აღმოჩნდება, მოედანზე ისეთი ამბები ტრიალებს, რასაც ფეხბურთის ვერც ერთ მინდორზე ვერ ნახავთ.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

საქართველოს და თბილისის ფეხბურთის ფედერაციები, გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძობას უცხადებენ უკრაინის სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ი. ლობჯანიძეს მეუღლის ნინო ვახლიას ასულ ლობჯანიძის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 13 თებერვალს, 17 საათზე, პეკინის ქ. № 39.

ახალი შორის

მსოფლიოს ყველა სტადიონის... ინგლისელ დევიდ სტეისის სპორტული შეჯიბრებების ბილეთების მსოფლიოში უდიდესი კოლექტორი აქვს. მის ალბომში ნახავთ ბილეთებს ყველა იმ სპორტული ღონისძიებისა, რომელთა დამსწრეც თვითონ ყოფილა. სტეისი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა — იგი 33 წლისაა და იმედოვნებს, რომ შეძლებს შეაგროვოს მსოფლიოს ყველა სტადიონის ბილეთი!